

შპს „თრეიდლაინ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის
და დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თრეიდლაინ“-ის მფლობელებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თრეიდლაინ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“-ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა“ (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას, და შესაბამისად იმის განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფას-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებაზე, ან თუ ამგვარი განმარტება არაადეკვატური იქნება, მოდიფიცირება გავუკეთოთ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 30 სექტემბერი

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებაზე, ან თუ ამგვარი განმარტება არაადეკვატური იქნება, მოდიფიცირება გავუკეთოთ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 30 სექტემბერი


‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
არამატერიალური აქტივები		1,135	1,117
აქტივების გამოყენების უფლებები	21	44,308	45,203
ძირითადი საშუალებები	11	27,144	28,514
გრძელვადიანი აქტივები		72,587	74,834
მარაგები	13	69,213	44,622
სხვა მიმდინარე აქტივები		508	269
გადახდილი ავანსები	12	3,377	3,341
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	97	488
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	11,213	4,199
მოკლევადიანი აქტივები		84,408	52,919
სულ აქტივები		156,995	127,753
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16 (ა)	18	18
გაუნაწილებელი მოგება	16 (ბ)	43,035	31,001
სულ საკუთარი კაპიტალი		43,053	31,019
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	18	11,385	14,274
საიჯარო ვალდებულებები	21	37,695	39,825
გრძელვადიანი ვალდებულებები		49,080	54,099
სესხები და კრედიტები	18	33,829	15,637
საიჯარო ვალდებულებები	21	13,086	9,749
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	12,153	13,017
სახელშეკრულებო ვალდებულებები	5 (ა)	3,118	2,168
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		2,676	2,064
მოკლევადიანი ვალდებულებები		64,862	42,635
სულ ვალდებულებები		113,942	96,734
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		156,995	127,753

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 43 გვერდებზე

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	169,133	128,941
გაყიდვების თვითღირებულება	6	(81,580)	(63,805)
საერთო მოგება		87,553	65,136
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(20,136)	(14,130)
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	8	(47,523)	(36,034)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		19,894	14,972
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	9	331	(614)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან		(1,070)	(2,498)
საპროცენტო ხარჯი	10	(7,017)	(5,272)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		12,138	6,588
მოგების გადასახადის ხარჯი		(14)	(197)
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		12,124	6,391

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


 ალექსანდრე სამხარაძე
 დირექტორი


 ვანტანგი მამარდაშვილი
 ფინანსური დირექტორი

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	169,133	128,941
გაყიდვების თვითღირებულება	6	(81,580)	(63,805)
საერთო მოგება		87,553	65,136
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(20,136)	(14,130)
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	8	(47,523)	(36,034)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		19,894	14,972
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	9	331	(614)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან		(1,070)	(2,498)
საპროცენტო ხარჯი	10	(7,017)	(5,272)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		12,138	6,588
მოგების გადასახადის ხარჯი		(14)	(197)
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		12,124	6,391

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ალექსანდრე სამხარაძე

დირექტორი

ვახტანგი მამარდაშვილი

ფინანსური დირექტორი

‘000 ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		18	25,736	25,754
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის მოგება		-	6,391	6,391
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
გამოცხადებული დივიდენდები	16 (ბ)	-	(1,126)	(1,126)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	16 (ა,ბ)	18	31,001	31,019
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს		18	31,001	31,019
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის მოგება		-	12,124	12,124
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
გამოცხადებული დივიდენდები	16 (ბ)	-	(90)	(90)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	16 (ა,ბ)	18	43,035	43,053

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 43 გვერდებზე.

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		12,124	6,391
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	16,921	14,077
მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან	9	(2)	(7)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან		1,070	2,498
საპროცენტო ხარჯი	10	7,017	5,272
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (გაუფასურების აღდგენა)/გაუფასურება		(97)	205
იჯარის მოდიფიკაცია		-	(80)
მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულამდე	6	67	629
მარაგების ჩამოწერა	6	207	394
მოგების გადასახადის ხარჯი		14	197
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგები		(24,865)	(18,381)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		472	(423)
ავანსები მიმდინარე აქტივებისთვის		(36)	(826)
სხვა მიმდინარე აქტივები		(239)	218
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(947)	5,559
სახელშეკრულებო ვალდებულებები		950	798
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		612	722
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე		13,268	17,243
გადახდილი მოგების გადასახადი		(14)	(197)
გადახდილი პროცენტები	18	(6,897)	(5,204)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		6,357	11,842
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,906)	(12,608)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(18)	(1,113)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობები		74	208
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,850)	(13,513)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები სესხებიდან	18	56,148	44,545
სესხების და კრედიტების გადახდა	18	(40,431)	(32,242)
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	18	(10,894)	(8,226)
დივიდენდის გადახდა	16	(90)	(1,126)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		4,733	2,951
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		7,240	1,280
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		4,199	3,116
გაცვლითი კურსების მოძრაობების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(226)	(197)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	15	11,213	4,199

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 43 გვერდებზე.

სარჩევი

1. ანგარიშვალდებული საწარმო.....	11
2. აღრიცხვის საფუძველი.....	12
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.....	12
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12
5. შემოსავალი.....	13
6. გაყიდვების თვითღირებულება.....	14
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14
8. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	14
9. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა.....	15
10. საპროცენტო ხარჯი.....	15
11. ძირითადი საშუალებები.....	16
12. გადახდილი ავანსები.....	17
13. მარაგები	17
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
15. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
16. საკუთარი კაპიტალი.....	19
17. კაპიტალის მართვა.....	19
18. სესხები და კრედიტები	20
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
20. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	22
21. იჯარები.....	27
22. პირობითი ვალდებულებები	28
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
24. შეფასების საფუძველი.....	31
25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	31
26. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული.....	42
27. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები.....	43

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე.

აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია გავლენა და ქვეყნის ეკონომიკა ზემოთ აღწერილის შესაბამისად ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს; მეორე მხრივ, საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 6,7%-ით გაიზარდა 2024 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2025 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2024 წელს 9.5% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2024 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 1,9% შეადგინა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „თრეიდლაინი“ (შემდგომში „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო კოდი: 203827449) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. კომპანია დაარსდა 1994 წლის 8 ივნისს და მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამრეკელის ქუჩა #19.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა და საცალო ვაჭრობა იმპორტირებული ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, სუნამოებით და აქსესუარებით. კომპანია ბაზარზე წარმოდგენილია 77-ამდე სავაჭრო მაღაზიით და ერთი ონლაინ მაღაზიით. 2019 წლის 16 იანვარს კომპანიას შეერწყა შპს „501“, რამაც კომპანიას საშუალება მისცა გაეფართოებინა თავისი საქმიანობა.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები იყვნენ ლელა სამხარაძე 12%-იანი წილით და ალექსანდრე სამხარაძე 88%-იანი წილით.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 23-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაშირომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამ განსჯის გამოყენებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ეკონომიკური გარემო, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს და კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე და პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ახსნა-განმარტებებზე. განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებისას და რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 25 (ზ) (iii) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები
- შენიშვნა 21 – იჯარის პირობების და ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა
- შენიშვნა 13 – მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 20 (ა) -ში სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. შემოსავალი

‘000 ლარი	2024	2023
საცალო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი	(169,049)	(128,769)
საქონლის საბითუმო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი	(80)	(92)
სხვა შემოსავალი	(4)	(80)
სულ შემოსავალი	(169,133)	(128,941)

(ა) სახელშეკრულებო ნაშთები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებებიდან მიღებული მოთხოვნების და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ.

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	14	236	783
სახელშეკრულებო ვალდებულებები		3,118	2,168

საკონტრაქტო ვალდებულებები, პირველ რიგში, დაკავშირებულია მომხმარებლებისგან მიღებულ წინასწარ ანაზღაურებასთან სასაჩუქრე ბარათებისთვის, რისთვისაც შემოსავალი აღიარდება მისი გამოყენებისთანავე, და მომხმარებლების მიერ დაგროვილი ლოიალობის ქულებთან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებელთა დაგროვილი ლოიალობის გამოუყენებელი ქულების ოდენობა არის 223 ათასი ლარი, რომელიც შემოსავალში აღიარდება გაანაღდების შემდგომ (2023: 218 ათასი ლარი).

პერიოდის დასაწყისში სახელშეკრულებო ვალდებულებებში აღიარებული 1,837 ათასი ლარი აღიარებულია შემოსავლად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ არის მოწოდებული ინფორმაცია დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადა არ აღემატება ერთ წელს, როგორც ნებადართულია ფასს 15-ს მიხედვით.

6. გაყიდვების თვითღირებულება

‘000 ლარი	2024	2023
ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები	(74,931)	(59,078)
თეთრეული	(5,716)	(3,064)
შეფუთვა	(566)	(633)
სხვა	(93)	(7)
ჩამოწერილი მარაგები	(207)	(394)
მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	(67)	(629)
სულ გაყიდვების თვითღირებულება	(81,580)	(63,805)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

‘000 ლარი	2024	2023
ხელფასი და სხვა სარგებელი	(8,286)	(6,075)
ბანკის საკომისიო ხარჯები	(5,257)	(3,074)
კომუნალური ხარჯი	(1,109)	(839)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(1,045)	(792)
მივლინება	(637)	(492)
ციფრულ მომსახურების ხარჯი	(447)	(186)
ცვეთა და ამორტიზაცია	(792)	(529)
საწვავის ხარჯი	(225)	(144)
დასუფთავების ხარჯი	(194)	(140)
ტრანსპორტირების ხარჯი	(181)	(141)
დაცვის ხარჯი	(131)	(171)
საოფისე ხარჯები	(111)	(271)
საკონსულტაციო ხარჯი	(106)	(63)
საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხარჯი	(90)	(29)
დაზღვევის ხარჯი	(71)	(61)
სხვა ხარჯები	(1,454)	(1,123)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(20,136)	(14,130)

8. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი

‘000 ლარი	2024	2022
ხელფასი და სხვა სარგებელი	(23,985)	(17,156)
ცვეთა	(16,129)	(13,548)
საიჯარო ქირა	(4,766)	(3,289)
რეკლამის ხარჯი	(2,643)	(2,041)
სულ მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	(47,523)	(36,034)

9. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

‘000 ლარი	2024	2023
სხვა შემოსავლები	672	90
სასამართლო ჯარიმის ხარჯი	-	(220)
საგადასახადო ხარჯები	(164)	(188)
ძირითადი საშუალების გასვლისგან მიღებული შემოსულობა	2	7
სხვა ხარჯები	(179)	(303)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	331	(614)

10. საპროცენტო ხარჯი

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	18 (ბ)	(3,877)	(3,177)
საპროცენტო ხარჯი სესხებზე და კრედიტებზე	18 (ბ)	(2,852)	(1,855)
საპროცენტო ხარჯი გარანტიებზე		(288)	(240)
სულ საპროცენტო ხარჯი		(7,017)	(5,272)

11. ძირითადი საშუალებები

‘000 ლარი	მიწის ნაკვეთები *	შენობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	საიჯარო ფართის კაპიტალური რემონტი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
თვითღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,897	709	9,290	9,168	1,162	200	31,426
შესყიდვები	699	-	5,372	5,811	492	234	12,608
გასვლები	(195)	-	(20)	-	(12)	(10)	(237)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,401	709	14,642	14,979	1,642	424	43,797
შესყიდვები	-	-	2,893	945	-	68	3,906
გასვლები	-	-	(86)	-	(96)	-	(182)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,401	709	17,449	15,924	1,546	492	47,521
დაგროვილი ცვეთა							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	177	5,464	4,976	712	68	11,397
ცვეთა წლის განმავლობაში	-	17	1,758	1,787	225	135	3,922
გასვლები	-	-	(16)	(4)	(13)	(3)	(36)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	194	7,206	6,759	924	200	15,283
ცვეთა წლის განმავლობაში	-	16	2,527	2,382	193	86	5,204
გასვლები	-	-	(77)	-	(33)	-	(110)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	210	9,656	9,141	1,084	286	20,377
საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,897	532	3,826	4,192	450	132	20,029
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,401	515	7,436	8,220	718	224	28,514
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,401	499	7,793	6,783	462	206	27,144

* მიწის ნაკვეთები შეძენილ იქნა კომპანიის მომავალი საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისათვის.

2024 წელს 346 ათასი ლარის და 4,858 ათასი ლარის ცვეთის ხარჯი შევიდა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯში და მიწოდების და მარკეტინგის ხარჯში, შესაბამისად (2023 წელი: 244 ათასი ლარის და 3,678 ათასი ლარის ცვეთის ხარჯი შევიდა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯში და მიწოდების და მარკეტინგის ხარჯში, შესაბამისად).

(ა) უზრუნველყოფები

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელების წილებით კაპიტალში და ასევე კომპანიის მფლობელობაში არსებული მოძრავი (2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგები 69,213 ათასი ლარის და 44,622 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად) და უძრავი (2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მიწის ნაკვეთები 11,401 ათასი ლარის და 11,401 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად) ქონებით.

12. გადახდილი ავანსები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,721	2,406
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	613	857
სხვა ავანსები	43	78
სულ გადახდილი ავანსები	3,377	3,341

13. მარაგები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საქონელი	68,830	43,573
საქონელი გზაში	1,132	1,731
მარაგების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდში	(749)	(682)
სულ მარაგები	69,213	44,622

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში. 2024 წელს კომპანიამ შეამოწმა მარაგები გაუფასურებაზე და ჩამოწერა შესაბამისი მარაგები მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე, რამაც გამოიწვია ზარალი 749 ათასი ლარის ოდენობით (2023 წელს: 682 ათასი ლარის ოდენობით) (შენიშვნა 6). ჩამოწერა და აღდგენა შედის გაყიდვების თვითღირებულებაში. კომპანიის მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელების წილებით კაპიტალში და ასევე კომპანიის მფლობელობაში არსებული მოძრავი (მარაგებით) და უძრავი ქონებით (მიწის ნაკვეთები) (შენიშვნა 11).

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	5 (ა)	236	783
სხვა მოთხოვნები		136	77
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		372	860
შემცირება: გაუფასურების ზარალის ანარიცხი		(275)	(372)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა		97	488

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

‘000 ლარი	2024	2023
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვრისთვის	(372)	(167)
წლის დარიცხვა	(86)	(206)
წლის აღდგენა	183	1
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	(275)	(372)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს ინფორმაციას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ვადიანობის ანალიზს, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურება ანარიცხი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურება ანარიცხი
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	-	-	-	-
0-30 დღე	60	(1)	98	(2)
31-60 დღე	40	(2)	3	-
61-120 დღე	-	-	497	(124)
121-180 დღე	-	-	33	(17)
181-360 დღე	-	-	57	(57)
ერთ წელზე მეტი	272	(272)	172	(172)
	372	(275)	860	(372)

ინფორმაცია კომპანიის საკრედიტო, საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	10,651	3,228
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	53	46
ნაღდი ფული სალაროში	463	519
ფული გზაში *	46	406
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	11,213	4,199

* ფული გზაში შედგება მყიდველების მიერ საბანკო ტერმინალით გადახდილი ფულადი სახსრებისგან, რომელიც არის სწრაფად ლიკვიდური მოთხოვნები და რამდენიმე დღეში (1-3 დღე) ხდება მათი კომპანიის ანგარიშზე ასახვა. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოაღნიშნული თანხები შეადგენს 46 ათას ლარს და 406 ათას ლარს, შესაბამისად.

ინფორმაცია კომპანიის საკრედიტო, საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

16. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას ჰქონდა საწესდებო კაპიტალი 18 ათასი ლარის ოდენობით (2023: 18 ათასი ლარი). საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

საწესდებო კაპიტალის მესაკუთრეებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან ისარგებლონ კომპანიაში მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

(ბ) დივიდენდები

კომპანია დივიდენდს გასცემს გაუნაწილებელი მოგებიდან. 31 დეკემბერი 2024 და 31 დეკემბერი 2023 წლების მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი მოგება შეადგენდა 43,035 ათას ლარს და 31,001 ათას ლარს, შესაბამისად. 2024 წლის განმავლობაში კომპანიას გამოაცხადა და გადაიხადა 90 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2023: 1,126 ლარი).

17. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა, კომპანია მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ძლიერი კაპიტალური ბაზა, კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნესის მომავალი განვითარების მხარდასაჭერად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება.

ამ ზომების გამოყენებით, კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს. კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

კომპანიის კორექტირებული წმინდა დავალიანების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან არის შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ ვალდებულებები	113,942	96,734
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11,213	4,199
წმინდა ვალდებულებები	102,729	92,535
სულ საკუთარი კაპიტალი	43,053	31,019
წმინდა ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან	239%	298%

18. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია კომპანიის პროცენტული სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-20 შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	11,385	14,274
	11,385	14,274
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	33,829	15,637
	33,829	15,637

(ა) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

’000 ლარი				31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
სესხები	პირობა	ვალუტა	დასრულების თარიღი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
#10921848 (სს საქართველოს ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	2 აგვისტო 2025	12,188	12,188	-	-
#8652065 (სს საქართველოს ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	21 სექტემბერი 2029	7,310	7,310	8,676	8,676
#12641850 (სს თიბისი ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	29 ივნისი 2028	6,496	6,496	8,198	8,198
#10405110 (სს საქართველოს ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	1 აპრილი 2025	5,896	5,896	-	-
#8104165 (სს საქართველოს ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	28 თებერვალი 2025	4,403	4,403	-	-
#9045622 (სს საქართველოს ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	28 თებერვალი 2025	2,935	2,935	-	-
#12474322 (სს თიბისი ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	20 მარტი 2025	2,835	2,835	2,982	2,982
#7198735 (სს საქართველოს ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	15 ივლისი 2026	1,644	1,644	2,625	2,625
#12139183 (სს თიბისი ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	04 მარტი 2025	1,281	1,281	582	582
#12139530 (სს თიბისი ბანკი)	უზრუნველყოფილი	აშშ დოლარი	4 მარტი 2025	226	226	-	-
#12641860 (სს თიბისი ბანკი)	უზრუნველყოფილი	ევრო	29 ივნისი 2024	-	-	6,848	6,848
				45,214	45,214	29,911	29,911

კომპანიას სს „საქართველოს ბანკისგან“ და სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული აქვს სესხები საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად და მიწის ნაკვეთების შესაძენად.

გარკვეულ ბანკის სესხებზე რომელთა საბალანსო ღირებულება შედგენდა 13,357 ათას ლარს და 11,301 ათას ლარს 31 დეკემბერ 2024 და 31 დეკემბერი 2023 წლებში შესაბამისად, ვრცელდება EURIBOR-ის განაკვეთი (ბანკთაშორის სესხებზე საშუალოშეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წარმოდგენილი ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე მონაწილე ბანკების მიერ სხვადასხვა ვალუტითა და ვადით). საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით დასარიცხი პროცენტი მოცემული სესხების შემთხვევაში მერყეობდა 5.2 % - 6.5% დამატებული EURIBOR-ის განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბაზისო განაკვეთზე. მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელების წილებით კაპიტალში და ასევე კომპანიის მფლობელობაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონებით.

(ბ) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

‘000 ლარი	2024		2023	
	სესხები და კრედიტები	საიჯარო ვალდებულებები	სესხები და კრედიტები	საიჯარო ვალდებულებები
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 1 იანვრის მდგონარობით	29,911	49,574	16,179	33,316
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან				
შემოსულობები სესხებიდან	56,148	-	44,545	-
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	-	(10,894)	-	(8,226)
სესხის ძირის დაფარვა	(40,431)	-	(32,242)	-
სხვა ცვლილებები				
სესხის პროცენტის დაფარვა	(2,732)	-	(1,787)	-
საიჯარო ვალდებულებების პროცენტის დაფარვა	-	(3,877)	-	(3,177)
საიჯარო ვალდებულების მატება	-	9,133	-	23,140
სესხზე დარიცხული პროცენტი	2,852	-	1,855	-
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	-	3,877	-	3,177
გაცვლითი კურსების მოძრაობების ეფექტი	(534)	1,279	1,361	858
მოდIFIკაციის ეფექტი საიჯარო ვალდებულებაზე	-	1,689	-	486
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 31 დეკემბრის მდგონარობით	45,214	50,781	29,911	49,574

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-20 შენიშვნაში.

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	9,515	10,422
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	1,572	1,369
საიჯარო ვალდებულებები	830	1,084
საპენსიო შენატანი	236	142
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,153	13,017

20. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის მიერ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება კოტირებული ფასებით შეფასების მეთოდის გამოყენებით აქტიურ ბაზრებზე და ასევე ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

‘000 ლარი	შენიშვნა	დონე	2024 წლის 31 დეკემბერი	
			საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	1-ლი დონე	11,213	11,213
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	მე-3 დონე	97	97
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	მე-3 დონე	12,153	12,153
სესხები და კრედიტები	18	მე-3 დონე	45,214	45,214
საიჯარო ვალდებულებები	21	მე-3 დონე	50,781	50,781

‘000 ლარი	შენიშვნა	დონე	2023 წლის 31 დეკემბერი	
			საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	1-ლი დონე	4,199	4,199
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	მე-3 დონე	488	488
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	19	მე-3 დონე	13,017	13,017
სესხები და კრედიტები	18	მე-3 დონე	29,911	29,911
საიჯარო ვალდებულებები	21	მე-3 დონე	49,574	49,574

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე საიჯარო ვალდებულებების და სესხების და კრედიტების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით;

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

რისკის მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გამო) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან.

კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით, რომელსაც მინიჭებული აქვს მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგი B, შეფასებული Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

(ბ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის რისკის მართვისადმი არის, შესაძლებლობის ფარგლებში, იმის უზრუნველყოფა, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადები საანგარიშგებო თარიღებისთვის. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს:

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი	3 წელზე მეტი
2024 წლის 31 დეკემბერი					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,153	12,153	12,153	-	-
სესხები და კრედიტები	45,214	48,609	35,644	8,612	4,353
საიჯარო ვალდებულებები	50,781	62,887	17,017	24,555	21,315
2023 წლის 31 დეკემბერი					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,017	13,017	13,017	-	-
სესხები და კრედიტები	29,911	33,635	15,516	9,656	8,463
საიჯარო ვალდებულებები	49,574	60,982	12,922	23,055	25,005

(გ) საბაზრო რისკი

რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

i. სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებშიც დენომინირებულია შესყიდვები და კრედიტები და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე 31 დეკემბრისთვის, იყო შემდეგი:

‘000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული	ევროში დენომინირებული	აშშ დოლარში დენომინირებული	ევროში დენომინირებული
	2024	2024	2023	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	36	17	18	28
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1	40	1	514
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,621)	(7,648)	(1,413)	(8,902)
სესხები და კრედიტები	(226)	(44,988)	-	(29,912)
საიჯარო ვალდებულებები	(34,347)	(14,924)	(32,248)	(16,242)
წმინდა დაქვემდებარება	(36,157)	(67,503)	(33,642)	(54,514)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	2024	2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6287	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
‘000 ლარი		
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(362)	362
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(675)	675
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(336)	336
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(545)	545

ii. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, პირველ რიგში, მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს „კომპანია“ დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხის და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალეზადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	
	2024	2023
‘000 ლარი		
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	11,310	4,687
ფინანსური ვალდებულებები	(94,791)	(80,619)
	(83,481)	(75,932)
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(13,357)	(11,883)
	(13,357)	(11,883)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს მის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის.

საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთებში 100 საბაზისო პუნქტის ცვლილება გაზრდიდა (შემცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი დარჩება.

	მოგება ან (ზარალი)	
	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
‘000 ლარი		
31 დეკემბერი 2024		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(134)	134
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა)	(134)	134
31 დეკემბერი 2023		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(119)	119
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა)	(119)	119

21. იჯარები

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილ სავაჭრო, სასაწყობო და საოფისე ფართების იჯარას. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოკლევადიან (იჯარები რომელთა პერიოდი 12 თვეზე ნაკლებია) და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს არ აღიარებს როგორც საიჯარო ვალდებულებებს, ამგვარი იჯარების ხარჯი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. ასევე ცვალებადი გადახდების მქონე იჯარების ცვლად ნაწილს, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახდელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე) კომპანია აღიარებს, როგორც საიჯარო ხარჯს.

იჯარების სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 1-10 წლიან პერიოდს, განახლების უფლებით. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. საიჯარო გადასახდელები ძირითადად ნომინირებულია ლარში და აშშ დოლარში.

კომპანია საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად იყენებს ნაგულისხმევ საპროცენტო განაკვეთს რომელიც წარმოადგენს კომპანიის ზღვრულ სასესხო განაკვეთს - ევროში გაფორმებული კონტრაქტებისთვის.

i. აქტივის გამოყენების უფლება

	სავაჭრო, სასაწყობო და საოფისე ფართები	სულ
‘000 ლარი		
2024		
ნაშთი 1 იანვარს	45,203	45,203
ცვეთა წლის განმავლობაში*	(11,717)	(11,717)
აქტივების გამოყენების უფლებების მატება	9,133	9,133
იჯარის მოდიფიცირების ეფექტი	1,689	1,689
ნაშთი 31 დეკემბერს	44,308	44,308

'000 ლარი	საფაქრო, სასაწყობო და საოფისე ფართები	სულ
2023		
ნაშთი 1 იანვარს	31,611	31,611
ცვეთა წლის განმავლობაში*	(10,155)	(10,155)
აქტივების გამოყენების უფლებების მატება	23,181	23,181
იჯარის მოდიფიცირების ეფექტი	566	566
ნაშთი 31 დეკემბერს	45,203	45,203

* 2024 წელს აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი, 446 ათასი ლარის და 11,271 ათასი ლარის, ოდენობით ასახულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯში და მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯში, შესაბამისად (2023: 285 ათასი ლარის და 9,870 ათასი ლარის, ოდენობით).

ii. მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

'000 ლარი	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	3,877	3,177
ცვეთა	11,717	10,155
მოკლევადიან საიჯარო გადასახდელების, ცვლადი საიჯარო გადასახდელების და საიჯარო მომსახურების ხარჯი	4,766	3,289

iii. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღიარებული თანხები

'000 ლარი	2024	2023
ფულადი სახსრების მთლიანი გადინება იჯარისთვის	(14,771)	(11,403)

22. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის ადეკვატურია.

თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(გ) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით. სანამ კომპანია არ მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ შესაძლო ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს არსებითად საზიანო გავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(დ) ბანკის გარანტიები

კომპანია კისრულობს ვალდებულებას წარუდგინოს მარაგების მომწოდებლებს და მეიჯარეებს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით. მიღებული გარანტიები უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელების წილებით კაპიტალში და ასევე კომპანიის მფლობელობაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონებით. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მიმდინარე საბანკო გარანტიები წარმოდგენილია ქვევით:

გარანტი	გახსნის წელი	დახურვის წელი	ბენეფიციარი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024 (თანხები ნომინალში)	31 დეკემბერი 2023 (თანხები ნომინალში)
საქართველოს ბანკი	2017	2025	LEVI STRAUSS AND CO. EUROPE	ევრო	200,000	200,000
საქართველოს ბანკი	2017	2025	MAVIGIYIM SAN VE TIC A.S	აშშ დოლარი	200,000	200,000
საქართველოს ბანკი	2017	2026	GUESS EUROPE SAGL	ევრო	450,000	450,000
საქართველოს ბანკი	2017	2026	BI AND DO S.R.L.	ევრო	100,000	100,000
საქართველოს ბანკი	2017	2025	ERDE PAZARLAMA A.S	ევრო	250,000	250,000
საქართველოს ბანკი	2020	2025	ETAM LINGERIE	ევრო	250,000	150,000
საქართველოს ბანკი	2020	2025	LEVIS FOOTWEAR AND ACCESSORIES SWITZERLAND S.A.	აშშ დოლარი	200,000	200,000
საქართველოს ბანკი	2021	2027	შპს რაიკინ აფთაუნ დეველოპმენტი	აშშ დოლარი	44,600	44,600
საქართველოს ბანკი	2021	2025	შპს რაიკინ აფთაუნ დეველოპმენტი	აშშ დოლარი	18,000	18,000
საქართველოს ბანკი	2023	2028	შპს რაიკინ აფთაუნ დეველოპმენტი	აშშ დოლარი	58,766	58,766
საქართველოს ბანკი	2023	2027	შპს რაიკინ აფთაუნ დეველოპმენტი	აშშ დოლარი	35,642	35,642
საქართველოს ბანკი	2022	2025	Samsonite Seyahat Urunleri Sanay'i ve Ticaret A.S	ევრო	300,000	150,000
საქართველოს ბანკი	2022	2026	შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია	აშშ დოლარი	90,847	90,847
საქართველოს ბანკი	2022	2026	შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია	აშშ დოლარი	9,898	9,898
საქართველოს ბანკი	2022	2024	შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია	აშშ დოლარი	-	6,652
საქართველოს ბანკი	2023	2030	შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია	აშშ დოლარი	-	19,840
საქართველოს ბანკი	2023	2028	შპს გალერია თბილისი	აშშ დოლარი	155,601	155,601
საქართველოს ბანკი	2023	2027	შპს გალერია თბილისი	აშშ დოლარი	14,538	14,538
საქართველოს ბანკი	2023	2029	შპს ზუგდიდი მოლი	აშშ დოლარი	14,109	14,109
საქართველოს ბანკი	2023	2033	შპს გრანდ მოლი	ევრო	143,093	143,093
საქართველოს ბანკი	2023	2026	შპს სიბიდი დეველოპმენტი	აშშ დოლარი	28,343	28,343
საქართველოს ბანკი	2023	2026	MARCO TOZZI Shoes GmbH AND Co	ევრო	150,000	150,000
საქართველოს ბანკი	2023	2026	KAVSAN AYAKKABI SAN.A.S	აშშ დოლარი	300,000	300,000
საქართველოს ბანკი	2023	2025	DENIM PLUS BV	ევრო	300,000	300,000
თიბისი ბანკი	2019	2025	Gant	ევრო	100,000	100,000
თიბისი ბანკი	2019	2026	Tommy Hilfiger/Bestseller	ევრო	300,000	300,000
თიბისი ბანკი	2021	2025	MODERN DIS TICARET A.S	ევრო	200,000	200,000
თიბისი ბანკი	2023	2026	Calvin Klein Europe B.V.	ევრო	350,000	350,000
საქართველოს ბანკი	2024	2027	შპს გალერია თბილისი	აშშ დოლარი	14,075	-
საქართველოს ბანკი	2024	2027	შპს რაიკინ აფთაუნ დეველოპმენტი;	აშშ დოლარი	33,328	-
საქართველოს ბანკი	2024	2025	შპს რაიკინ აფთაუნ დეველოპმენტი;	აშშ დოლარი	8,411	-
საქართველოს ბანკი	2024	2029	შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია;	აშშ დოლარი	8,481	-
საქართველოს ბანკი	2024	2025	HUMMEL SPOR MALZEMELERI SAN. VE TIC. A.S.	ევრო	150,000	-
საქართველოს ბანკი	2024	2031	შპს სიბიდი დეველოპმენტი	აშშ დოლარი	31,852	-
საქართველოს ბანკი	2024	2025	შპს გალერია თბილისი	აშშ დოლარი	9,440	-

საგარანტიო ხელშეკრულების მიხედვით დასარიცხი პროცენტი მოცემული გარანტიების შემთხვევაში მერყეობდა 1.8 % - 2% - მდე.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

i. წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ პერიოდების განმავლობაში შემდეგი ანაზღაურება მიიღო, რომელიც ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში შედის:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და სხვა სარგებელი	3,169	2,395
	3,169	2,395

(ბ) სხვა დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	
	2024	2023
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია		
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	32
საქონლისა და მომსახურების შეძენა		
სხვა დაკავშირებული მხარეები	87	512
	87	544

'000 ლარი	დაუფარავი ნაშთი	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია		
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	9
საქონლისა და მომსახურების შეძენა		
სხვა დაკავშირებული მხარეები	32	-
	32	9

2024 წელს, კომპანიამ გამოაცხადა და მფლობელებს გადაუხადა 90 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2023: 1,126 ათასი ლარი) (შენიშვნა 16 (ბ)).

24. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანიის მიერ თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

ამასთანავე, 2024 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ მიიღო „სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები“ (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის კორექტირებები).

კორექტირებები მოითხოვს „არსებითი“ და არა „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენას. მიუხედავად იმისა, რომ კორექტირებებს არ მოჰყოლია რაიმე ცვლილება თვითონ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკებში, მათ გავლენა მოახდინეს გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ ინფორმაციაზე.

(ა) ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა. კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და აქსესუარების საცალო ვაჭრობა, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

სახელშეკრულებო ნაშთები

კომპანია საოპერაციო საქმიანობის პროცესში ახორციელებს სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციას, რაც გულისხმობს, რომ მომხმარებელი კომპანიას ავანსად უხდის მომავალში გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის და, შესაბამისად, კომპანია ამ შემოსავალს მხოლოდ მაშინ აღიარებს, როდესაც ამგვარ სამომავლო საქონელს, ან მომსახურებას გადასცემს. აღნიშნული ბარათები გამოყენებამდე აღიარდება როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ფასდაკლების ბარათებს, კერძოდ, მომხმარებელი კომპანიის სავაჭრო ობიექტებში შეძენილი პროდუქციის მოცულობიდან გამომდინარე გამოიმუშავებს ფასდაკლების პროცენტს დაგროვილი ქულების შესაბამისად, რომლის გამოყენება და პროდუქციის ფასდაკლებით შეძენა შეუძლია მომავალ პერიოდში. როდესაც მომხმარებელი ახდენს პროდუქციის ფასდაკლებით შეძენას (ფასდაკლების ბარათის გამოყენებას), კომპანია გადაცემული საქონლიდან ამონაგებს აღიარებს ფასდაკლების გათვალისწინებით. აღნიშნული ღირებულების ქულები გამოყენებამდე აღიარდება როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

კომპანიის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქციაზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნების და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

— გადახდილი ანაზღაურების სრული ან ნაწილობრივ ანაზღაურება;

— სხვა პროდუქტის მიღება დაბრუნების სანაცვლოდ;

დაბრუნების უფლებით გაყიდული პროდუქტის აღრიცხვისათვის კომპანია აღიარებს:

- ამონაგებს გადაცემული პროდუქტისთვის, ანაზღაურების იმ ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც კომპანია მოელის;
- ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას; და
- აქტივს თავის უფლებასთან დაკავშირებით, მომხმარებლისგან მიიღოს ის პროდუქცია, რომელთა ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულებას დააკმაყოფილებს კომპანია;

(ბ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- ფასს 9-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯს სესხებზე და საბანკო გარანტიებზე
- ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხულ საპროცენტო ხარჯს საიჯარო ვალდებულებებზე;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ შემოსულობას ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მისი მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(გ) უცხოური ვალუტა

i. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოდგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის (კორექტირებულ ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს სანაგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(ე) მოგების გადასახადი

2017 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან.

2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები საფინანსო ინსტიტუტებისთვის მოქმედი კორპორაციული გადასახადის მოდელში, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საფინანსო დაწესებულებების ნაწილი ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

საგადასახადო ვალდებულების ჩათვლა გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე შესაძლებელია მოგების გადასახადზე, რომელიც გადაიხდება 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 წელს ან შემდგომ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(3) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გაყიდვის ფასს, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(ზ) ძირითადი საშუალებები**i. აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

ii. შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას.

იჯარით მიღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ გახდება, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ კომპანია მიიღებს მათზე საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდში, შემდეგია:

შენობები	50 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
საიჯარო ფართის კაპიტალური რემონტი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(თ) არამატერიალური აქტივები

i. სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები ფასდებიან თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ii. შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

iii. ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა.

ამორტიზაციის მეთოდები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და საჭიროებისამებრ, კორექტირდება.

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

iv. ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი საწყისი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რასაც, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება საოპერაციო დანახარჯები. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ მოიცავენ დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ეს ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა მათი ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტი);
- მოგება-ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და სახსრებს საკრედიტო დაწესებულებებში (ფული და მათი ეკვივალენტები).

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

i. **ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ii. **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(კ) **საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებით გადახდილი კაპიტალის ზრდა ხდება მესაკუთრეებისგან საბაზროზე დაბალი განაკვეთის მქონე სესხების მიღების გზით. მესაკუთრეებისგან მიღებული საბაზროზე დაბალი განაკვეთის მქონე სესხების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საბაზრო განაკვეთის გამოყენებით. დისკონტირება აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადავადებული გადასახადის გამოკლებით.

(ლ) **გაუფასურება**

i. **არაფინანსური აქტივები**

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. რომელიმე ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის. განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად.

აქტივებისთვის ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურები ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა ცვეთის გამოკლებით წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

ii. ფინანსური აქტივები

კომპანია ყველა ფინანსური აქტივის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ორ ეტაპად აღიარდება. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის. რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 120 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

(მ) პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს.

პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

(ნ) იჯარები

კომპანიამ ფასს 16 იჯარები 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. კომპანია ირჩევს გამოიყენოს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. შედეგად, კომპანია, როგორც მოიჯარე, აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს შესაბამისი აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს, რაც კომპანიის მიერ საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას ასახავს. მეიჯარეს აღრიცხვა რჩება მსგავსი ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკებისა.

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(ი) როგორც მოიჯარე

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება.

ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით. როგორც წესი, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია, თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა, გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახდილი არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები. როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის დადგენისას, კომპანია ამყარებს მის მსჯელობას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა, რომ ფაქტორები, როგორებიცაა, ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან დაკავშირებით, რეგულაციის მოსალოდნელი ცვლილებები და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში.

26. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არეობს რიგი ახალი სტანდარტების, რომლებიც ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ, და უფრო ადრეული გამოყენება ნებადართულია; თუმცა, ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი ან შესწორებული სტანდარტები ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და შესწორებულ სტანდარტებს არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე;

- ფასს (IFRS) 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“
- ბასს (IAS) 21-ის ცვლილება: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).

27. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ, კომპანიამ მიიღო ევროს ნომინალური ღირებულების საბანკო სესხები სს საქართველოს ბანკიდან და სს თიბისი ბანკიდან, 32,263 ათასი ლარის და 8,474 ათასი ლარის, შესაბამისად. ხოლო სესხების ძირის დაფარვამ შეადგინა 34,990 ათასი ლარი.

შპს „თრეიდლაინ“

**მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის**

სარჩევი

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	3
2. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	3
3. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები.....	3
4. აუცილებელი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	4
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	4
6. კომპანიის მართვა და სტრუქტურული ერთეულები	4
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	5

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „თრეიდლაინ“ დაფუძნდა 1994 წელს. კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. კომპანიის საქმიანობის ორგანიზაციისათვის პარტნიორთა კრების მიერ იქმნება დირექცია, რომელსაც სათავეში უდგას დირექტორი და რომელიც მინდობილობის გარეშე წარმოადგენს კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე. ის ორგანიზებას უწევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს.

შპს „თრეიდლაინ“-ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, სუნამოებით და აქსესუარებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. ობიექტებში წარმოდგენილი პროდუქციის წარმოება ხდება ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებს 81 სავაჭრო ობიექტი, რომლის ფართებიც იჯარით არის აღებული და დამატებით ელექტრონული მაღაზია ვებ გვერდზე www.dressup.ge, რომელიც მოიცავს ჩვენი პროდუქციის სრულ ასორტიმენტს. მაღაზიების ქსელი ოპერირებს „დრესაპ ჯგუფის“ ბრენდის სახელით.

კომპანიას გააჩნია მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, როგორც ახალი ბრენდების შემოყვანის, ისე არსებულების განვითარების კუთხით. ამასთან მუდმივად ხდება ბაზრის მონიტორინგი სხვადასხვა მეთოდებით, როგორიცაა დაკვირვება, გამოკითხვა, სტატისტიკა, ბაზრის კვლევა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ანგარიშგებები.

2. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილი იყო ასამდე ბრენდით (Levis, Lee & Wrangler, Guess, Lacoste, Tommy Jeans, Gant, Jack & Jones, Mavi, Vans, Name IT, Converse, Greyder, ETAM, Calvin Klein...) და ჯამში 82 მაღაზიით (81 ობიექტი და 1 ონლაინ მაღაზია), საიდანაც 28 არის მულტიბრენდი, რომლებიც წარმოდგენილია 5 ბრენდის ქვეშ: ჯინსის გალერეა, ატრიო, ფექტორი, ქიდს გალერეა, dressup.ge. დანარჩენი 54 არის მონობრენდი: 6 ლივასი, 5 ლი-ვრანგლერი, 5 ეტამი, 4 ლაკოსტი, 4 სამსონაითი, 4 განტი, 4 გესი, 4 ქელვინ ქლაინი, 3 მავი, 3 ჯეკ & ჯონსი, 2 ტომი ჯინსი, 2 ტომი ჰილფიგერი, 2 გრეიდერი, 2 ტრიუმფი, 2 ჰუმელი, 1 ჯი სთარი, 1 ვერო მოდა. ფიზიკური სავაჭრო ობიექტების ძირითადი ნაწილი, კერძოდ, 70 ობიექტი, განთავსებულია სავაჭრო ცენტრებში: საბურთალოს სიტი მოლი (15 ობიექტი), გალერეა თბილისი (11 ობიექტი), თბილისი მოლი (13 ობიექტი), ისთ-ფონთი (8 ობიექტი), ქარვასლა (2 ობიექტი), ბათუმი გრანდ მოლი (14 ობიექტი) და თითო-თითო ობიექტი მერანში, გლდანის სიტი მოლში, აქსისის მოლში, რუსთავი მოლში, ზუგდიდი მოლში, ბათუმის სავაჭრო ცენტრ „მეტროში“ და ბათუმის მოლში. 11 ქუჩის მაღაზიიდან თბილისში განთავსებულია 6 ობიექტი და ბათუმში 6 ობიექტი.

3. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია მუდმივად გეგმავს სამომავლო განვითარებას. მიმდინარე წელს დაემატა ახალი ბრენდის ტომი ჰილფიგერის და ქელვინ ქლაინის მაღაზიები.

4. აუცილებელი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 და 2023 წლების კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შემდეგია:

'000 ლარი	2024	2023	ცვლილება
ამონაგები	169,133	128,941	40,192
საერთო მოგება	87,553	65,136	22,417
საოპერაციო მოგება	19,894	14,972	4,922
წმინდა მოგება/ზარალი	12,124	6,391	5,733

	2024	2023	ცვლილება
მომგებიანობის კოეფიციენტები			
საერთო მოგების მარაჟი	51.8%	50.5%	1.3%
საოპერაციო მოგების მარაჟი	11.8%	11.6%	0.2%
წმინდა მოგების მარაჟი	7.2%	5%	2.2%
უკუგება აქტივებზე (ROA)	8.5%	5%	3.5%
უკუგება კაპიტალზე (ROE)	32.7%	20.6%	12.1%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი			
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.30	1.24	0.06
სწრაფი ფარდობის კოეფიციენტი	0.23	0.19	0.04
ეფექტურობის კოეფიციენტები			
მარაგების ბრუნვა	1.43	1.78	(0.35)
აქტივების ბრუნვა	1.19	1.01	0.18
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები			
ვალის კაპიტალის თანაფარდობა	2.65	3.12	(0.47)
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	2.84	2.84	-

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

6. კომპანიის მართვა და სტრუქტურული ერთეულები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 1028 თანამშრომელი, საიდანაც 71% არის საოპერაციო პერსონალი, ხოლო 29% წარმოადგენს ადმინისტრაციულ კადრებს.

კომპანია „დრესპ ჯგუფის“ (შპს „თრეიდლაინის“) სტრუქტურა წარმოადგენს თანამშრომელთა დაქვემდებარების სქემას. სქემაზე თითოეული თანამშრომლისათვის განსაზღვრულია უშუალო ხელმძღვანელის, მაკონტროლებელი პირისა და დაქვემდებარებული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პოზიცია.

- ფინანსური დეპარტამენტი: ფინანსურ დირექტორს პირდაპირ ექვემდებარება ანგარიშგებისა და აღრიცხვის სამსახური.
- მარკეტინგის დირექტორს პირდაპირ ექვემდებარება მარკეტინგის განყოფილება.

- ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს პირდაპირ ექვემდებარება ტრენერი, ხოლო კონტროლს ახორციელებს ყველა განყოფილებასა და დეპარტამენტზე, როგორც წახალისებაზე, სანქციების ამოქმედებაზე პასუხისმგებელი პირი.
- მაღაზიათა ქსელის ადმინისტრირების განყოფილების უფროსს პირდაპირ ექვემდებარება თანაშემწე და ქსელში არსებული ყველა მაღაზიის მენეჯერი.
- მერჩენდაიზინგის დირექტორს პირდაპირ ექვემდებარება მერჩენდაიზინგისა და გაყიდვების სამსახურები, ასევე ვიზუალური მერჩენდაიზინგის გუნდი.
- მონიტორინგის განყოფილების უფროსს პირდაპირ ექვემდებარება მონიტორინგის სპეციალისტი.
- კლიენტთა დისტანციური მომსახურების განყოფილება აერთიანებს ონლაინ მაღაზიის მენეჯერსა და დისტანციური მომსახურების ოპერატორებს.
- ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება მოიცავს რამდენიმე სამსახურს: ლოჯისტიკის სამსახური, ტექნიკური სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, საწყობი, ასევე განყოფილებაში მოიაზრებიან ოფისის მენეჯერები და ოფისის დიასახლისი.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

(ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის მიერ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება კოტირებული ფასებით შეფასების მეთოდის გამოყენებით აქტიურ ბაზრებზე და ასევე ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

‘000 ლარი	დონე	2024 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1-ლი დონე	11,213	11,213
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მე-3 დონე	97	97
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მე-3 დონე	12,153	12,153
სესხები და კრედიტები	მე-3 დონე	45,214	45,214
საიჯარო ვალდებულებები	მე-3 დონე	50,781	50,781

‘000 ლარი	დონე	2023 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1-ლი დონე	4,199	4,199
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მე-3 დონე	488	488
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	მე-3 დონე	13,017	13,017
სესხები და კრედიტები	მე-3 დონე	29,911	29,911
საიჯარო ვალდებულებები	მე-3 დონე	49,574	49,574

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე საიჯარო ვალდებულებების და სესხების და კრედიტების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით;

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

რისკის მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება.

კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გამო) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან.

კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით, რომელსაც მინიჭებული აქვს მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგი B, შეფასებული Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

(ბ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის რისკის მართვისადმი არის, შესაძლებლობის ფარგლებში, იმის უზრუნველყოფა, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადები საანგარიშგებო თარიღებისთვის. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს:

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი	3 წელზე მეტი
2024 წლის 31 დეკემბერი					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,153	12,153	12,153	-	-
სესხები და კრედიტები	45,214	48,609	35,644	8,612	4,353
საიჯარო ვალდებულებები	50,781	62,887	17,017	24,555	21,315
2023 წლის 31 დეკემბერი					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,017	13,017	13,017	-	-
სესხები და კრედიტები	29,911	33,635	15,516	9,656	8,463
საიჯარო ვალდებულებები	49,574	60,982	12,922	23,055	25,005

(გ) საბაზრო რისკი

რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

i. სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებშიც დენომინირებულია შესყიდვები და კრედიტები და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე 31 დეკემბრისთვის, იყო შემდეგი:

‘000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული	ევროში დენომინირებული	აშშ დოლარში დენომინირებული	ევროში დენომინირებული
	2024	2024	2023	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	36	17	18	28
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1	40	1	514
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,621)	(7,648)	(1,413)	(8,902)
სესხები და კრედიტები	(226)	(44,988)	-	(29,912)
საიჯარო ვალდებულებები	(34,347)	(14,924)	(32,248)	(16,242)
წმინდა დაქვემდებარება	(36,157)	(67,503)	(33,642)	(54,514)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	2024	2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6287	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

‘000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(362)	362
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(675)	675
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(336)	336
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(545)	545

ii. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, პირველ რიგში, მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს „კომპანია“ დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხის და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალეზადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2024	2023
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	11,310	4,687
ფინანსური ვალდებულებები	(94,791)	(80,619)
	(83,481)	(75,932)
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(13,357)	(11,883)
	(13,357)	(11,883)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის


კომპანია არ აღრიცხავს მის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის.


საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთებში 100 საბაზისო პუნქტის ცვლილება გაზრდიდა (შემცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი დარჩება.

‘000 ლარი	მოგება ან (ზარალი)	
	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
31 დეკემბერი 2023		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(134)	134
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა)	(134)	134
31 დეკემბერი 2022		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(119)	119
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა)	(119)	119

წინამდებარე მმართველობის ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერი შემდეგი პირების მიერ:



ალექსანდრე სამხარაძე
დირექტორი



გიორგი მამარდაშვილი
ფინანსური დირექტორი

წინამდებარე მმართველობის ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით
ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერი შემდეგი პირების მიერ:

ალექსანდრე სამხარაძე
დირექტორი

ვახტანგი მამარდაშვილი
ფინანსური დირექტორი